საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია –

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №6/2024
2024 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს №27/2017 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს №27/2017 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 09/08/2017, 010190020.15.008.016341) განსაზღვრული აკრედიტაციის წესის:

1. მეორე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:

„გ) კალენდარული წელი – დროის მონაკვეთი აკრედიტაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.".

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტაციის მისაღებად, მედიასაშუალების ხელმძღვანელმა პირმა განცხადება უნდა წარადგინოს ამ მუხლით განსაზღვრული შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის სახელზე.";

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. განცხადებას უნდა დაერთოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ცესკოში/საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მედიასაშუალების სააგენტოში რეგისტრაციის შესახებ, ხოლო, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს განცხადების ხელმომწერი პირის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ პუნქტში აღნიშნული ამონაწერი აკრედიტაციისათვის არ ესაჭიროებათ უცხოურ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს.";

გ) მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი მედიასაშუალების წარმომადგენელთა სია (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი), ხოლო უცხოური მედიასაშუალების შემთხვევაში – უცხოური მედიასაშუალების წარმომადგენელთა სია (სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ნომერი);".

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. განაცხადის ფორმას უნდა ერთოდეს მედიასაშუალების წარმომადგენელთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ფოტოასლები/საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლები.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ვადაა აკრედიტაციის მოწმობის გაცემიდან ერთი კალენდარული წელი.”;

ბ) 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით მიღებული აკრედიტაციის მოქმედება ასევე შეჩერდება საკრებულოს შუალედური არჩევნების/მერის/საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების დროს, მხოლოდ ცესკოსა და იმ საარჩევნო ოლქში/ოლქებში, სადაც ასეთი არჩევნები იმართება და განახლდება შესაბამისი საარჩევნო პერიოდის დასრულებიდან აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის მოქმედების ვადით.“.

4. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. წარმომადგენლების შეცვლა/დამატება/უფლებამოსილების შეწყვეტა

აკრედიტებული მედიასაშუალებების მიერ, წარმომადგენლების შეცვლა/დამატება/უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ამ აკრედიტებული მედიასაშუალების მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.“.

5. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. აკრედიტებული მედიასაშუალებისთვის აკრედიტაციის გაუქმება

მედიასაშუალებამ, აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში, უნდა მიმართოს იმ კომისიის მდივანს, რომელმაც მოახდინა ამ ორგანიზაციის აკრედიტაცია. აკრედიტაციის გაუქმების საკითხის განხილვაზე მოქმედებს იგივე ვადები, რაც განსაზღვრულია აკრედიტაციისთვის.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**